№ 165

სამშაბათი, 1 აგვისტო, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 2 7

1877—1900

# ივერია

№ 165

სამშაბათი, 1 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გ. მავრცელ. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ფოთის საბუღალტერო კურსები

ქ. გიგინეიშვილისა.

ახალ შემომსვლელთაგან თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან. მსურველთ პირობები და პროგრამები გაეგზავნება მუქთად. (15—6.—8)

## აბრეშუმის ძსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მებრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, ფარდები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც ხავერდ, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერა-კითხვის წიგნის მაღაზიაში თოფურიძის და ნაჭრობით. (50—6.—2) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის თელავის განყოფილების გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900—1901 სასწავლო წელს ქ. თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში ახლად შესვლელი, ვაჟანიშვის მიხედვით, მიიღებენ მხოლოდ მოსამზადებელ განყოფილებაში.

თხოვნები და ყველა საჭირო ქაღალდები გამგეობის კანცელარიას უნდა წარედგინოს არა უგვიანეს 16 აგვისტოსი, ხოლო ის ქალები, რომელნიც შესვლას აპირობენ, ეგზამენისათვის უნდა გამოცხადდნენ 24 და 25 აგვისტოს, 1 და 2 სექტემბერს, დილის 8 საათზე. მიიღებენ ქალებს კონკურსით.

განმეორებითი ეგზამენები მოხდება 23-დგან 28 აგვისტომდე. ხოლო სწავლა 4 სექტემბერს დაიწყობა.

ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ სწავლის ფასი როგორც პანსიონერებისა და ნახევარ პანსიონერებისა, აგრეთვე გარედან მოსიარულეთა სრულად უნდა იქმნას შეტანილი: წლის პირველ ნახევრისა—1 სექტემბერს, ხოლო მეორე ნახევრისა—10 იანვარს (პანსიონერებმა—90 მანეთი, ნახევარ პანსიონერებმა 45 მან. და გარედან მოსიარულეთ—15 მანეთი.

ახლად შესვლელთ, ეგზამენების დაწყობის შემდეგ, ფული დაუბრუნებლივ უნდა შემოიტანონ.

ხომხურის ენისა და მუსიკის სწავლებისათვის ცალკე სასყიდელი.

ის მოსწავლენი, რომელთა სწავლის ფასი დროზე არ იქნება შეტანილი, სასწავლებლიდგან გასულად იქმნებიან ჩათვლილნი. (2—უ—2)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე

კვირა დღეების გარდა

**დილით:**

ვ. ი. ჭიჭინაძე.—ქალთა სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. ა. ახალშენიშვილი, გზიდის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისა და ყურის სნეულების აგრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრობით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულიძე—ყურისა, ყელის და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ვ. ფირთელი, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ი. ნ. შატილოვი—თვალის 12—1 საათ.

ა. დ. მარკოვიჩი—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სალოსტაქირო.

ი. დ. გამრეკელოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდეთა—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

**საღამოთი:**

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—ქალთა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით, კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოდ.

მისამართი, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სამკერვალოსა, № 21 (ჯარისკაცის ბაზრის ზემოთ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაზე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სალოსტაქირო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და წერტილისა.

ზ. ი. ბაბანასიანი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სნეულებანი.

ი. თ. პრუტასოვიჩი, 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგების და ოპერაციების დაწყების ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ი. ტ. არაპიჩაკი—11—1 ს.

გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მმართველობა

აუწყებს მოსწავლეთა მშობლებს, რომ მომავალ 1900—1901 სასწავლო წლის დასაწყისს მოსწავლენი მიიღებიან I მოსამზადებელ განყოფილებაში, რომელშიაც 45 ვაკანსიაა; დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში ჯერ-ჯერობით თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება დაიწყება თვით აგვისტოდგან და გასტანს 25 აგვისტომდე. თხოვნასთან უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი საბუთები: წლოვანებისა, თავად-აზნაურობისა და ყვავილის აცრისა.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს. (3—6.—3)

## ქუთაისის ქალთა საზოგადოების სამკურნალოებლ.

პერსონალური და ავადმყოფობის საკურნო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 იენისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალექსიშვილის შენობაში, გიმნაზიისა და ალექსანდრის ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—28)

## ახალი ამბავი

** ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს საყოველთაოდ უცნობებია სამკვლევო სამრეკლო სასწავლებელთა მაზრის მეთვალყურეებისთვის, რომ საერთო სკოლის სწავლება საკვლევით სასწავლებლებში პირველ წლის მოდგისა ხევარში უნდა დაწყებისთ რუსულ ენაზე და მისი სწავლა ერთად უნდა სწარმოებდეს ქართულისა და რუსულ ენებზედა. მაგალითად, შესწავლილ რა სადმრთო სჯულის მასწავლებელი მოსწავლეებს ლოცვებს ქართულ ენაზედ, იგივე ლოცვები რუსულ ენაზედაც უნდა ასწავლოს ისე, რომ სწავლის მეორე წელიწადის დასაწყისიდგანვე (მეორე განყოფილებაში) სადმრთო სჯულის სწავლება რუსულ ენაზედ და სწარმოებდეს, რასაკვირველია, ჯეროვან განმარტებით სამშობლო ენაზედაო.

** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ამ დღეებში აგრონომმა ბ-ნმა ნ. ტარატინოვმა წარუდგინა მოხსენება, რომელშიაც ტარატინოვი, ეხება რა საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, ამტკიცებს იმ ზომებს, რა ზომებიც მიღებულ უნდა იქმნას ამიერ-კავკასიაში ამ ჭირის მოსასპობად. როგორც ბ-ნი ტარატინოვი აცხადებს, შარშან ჭირმა ისეთი ზარალი მიაყენა მთელს ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის მცხოვრებთ, რომ გაზაფხულზე მეტად შეაფერხა ხვნა-თესვის საქმე. წლისაც ძალიან მძვინვარებს თურმე საქონლის ჭირი ტფილისის გუბერნიის ოთხს მაზრაში და განჯის გუბერნიაში. მოუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველ წელიწადს კავკასიაში საქონლის ჭირთან საბრძოლველად 250,000 მან. ხარჯავს, საქონლის ჭირი მაინც არ ისპობა; სასურველ ნაყოფს ვერც კარანტინი და თავისი მიზეზი მეტადრე ის, რომ დღემდე იმ დროებითი ზომები იძლევა და ყოველწლივ საქონლის ჭირისაგან აუარებელი საქონელი იხოცებაო. ბ-ნ ტარატინოვის აზრით, საჭიროა გადიდებულ და გაძლიერებულ იქმნას საქონლის ჭირისაგან აცრა, რადგანაც, როგორც გამოცდილებამ დაამტკიცა, ასეთ აცრას კარგი ნაყოფი მოაქვს. ბ-ნ ტარატინოვის სიტყვით, ის აცრილი საქონელი, რომელსაც ყარაიაზი გამოსახლებულ რუსებს მიეცათ, ცხვრები დარჩნენ ის ისეთი შემთხვევაც ბევრი ყოფილა, რომ აცრილი საქონელი ჭირიან საქონელში გარევულ, მაგრამ ჭირი აღარ შეეყრებოდა.

ბ-ნ ტარატინოვი მოხსენებადგან ჩანს, რომ საქონლის აცრის საქმე ტრანსკავკასიში ჰქონიათ კარგად მოწყობილი. წინად ამისათვის ჰქონიათ ბეითლები ტრანსვაალში გაგზავნილი ამ საქმის შესასწავლად, მაგრამ ომის გამო მოუხერხებელი გახდა ეს. ბ-ნი ტარატინოვი ამბობს, რომ ტრანსვაალი ნაცვლად შეიძლება ბეითლები ციმბირში გაიგზავნოს, სადაც აცრის საქმე ამჟამად ძალიან კარგადაა დაყენებულიო, ჩინეთის მოქვეთი თურმე საქონლის სადგურში ჭირისაგან აცრიან ხოლმე.

** 28 ივლისს სხდომა ჰქონდა კავკასიის მეურნეობის მეორე კრების კომიტეტს. კრება კავკასიის მეურნეობისა, როგორც ვიცით, უნდა მოწვეულ იქმნას მომავალი წლის გაზაფხულს. კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა კრების რვა სექციის პროგრამები, შედგენილი ამ სექციათა გამგეთა მიერ. ეს პროგრამები დაიბეჭდება და კავკასიის მხრის მეურნეებსა და დაწესებულებათ გაეგზავნება.

** ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოში კვირას, 15 ოქტომბერს, დაიწყება კენჭის ყრა ჯარში გასაწვევ ყმაწვილ კაცთა. ამა შემოდგომზე 1900 წ. ქ. ტფილისიდგან ჯარში უნდა გაწვეულ იქმნას 209 ყმაწვილი კაცი (შარშან 196 გაიწვიეს).

** ოზურგეთში რკინის გზის გაყვანის საქმე, როგორც გაზ. „კავკაზ" შეუტყვია, ამ ჟამად გზათა უწყების სამინისტროში წარდგენილი მისდა განსახილველად.

** ბათუმის ნავთსადგურის გაფართოების საქმე ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტრო. ორი პროექტი არსებობს ამ ნავთ-სადგურის გაფართოებისა—ერთი შედგენილია სავაჭრო ნავთ-სადგურთა შემდგენელ კომისიის ერთის წევრის, ინჟინერ-მაიორის ძარინცევის მიერ, ხოლო მეორე—ბათუმის ნავთ-სადგურის სამუშაოთა უფროსის, ინჟინრის ზუზოვის მიერ.

** დ. სურამში განუზრახავთ ორკლასიან სამოქალაქო-სამრეწველო სასწავლებლის დაარსება ორისავე სქესის ბავშვებისათვის. სასწავლებელი დაარსებულ იქმნება მართლ-მადიდებელ ეკლესიის მახლობლად. სასკოლე შენობის აგებას უკვე შეუდგნენ. ამ სკოლას ჰქონდა თურმე ადგილობრივ მართლ-მადიდებელ ეკლესიის მღვდელი მ. იოსები, რომელსაც ფული შეუწირავს საწავლებლის შენობის ასაგებად და თავისივე საკუთარი მიწა დაუთმია.

** ტფილისის მცხოვრებ ავსტრიო-უნგრეთის ელჩმა მიმართა კავკასიის სამიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოებას, დასთხოვა ცნობები კავკასიაში კლიის გზისა და იმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ეს ცნობები უნგრეთის მთავრობას უნდა დასჭირდეს.

** როგორც ქალაქის გამგეობის მიერ შეკრებილ ცნობებიდგან ჩანს, წელს 22 ივლისამდე ქალაქს შემოსავლად ჰქონია: დოდესების გადასახადისა—225,661 მან. 56 კაპ., სატრაქტირო გადასახადისა—24,070 მან. 26 კაპ., ცხენებისა და ეტლების გად.—30,322 მან. 98 კაპ., ქალაქის ადგილებიდგან—9105 მან. 39 კაპ., წყლის მილიდგან—77,374 მან. 57 კაპ., სასაკლაოდგან—30,365 მან. 56 კ., საქონლის ბაზიდგან—10,506 მ., 33 კაპ. და სხვა.

** აზრადა აქვთ შესცვალონ წესდება და შტატი ამიერ-კავკასიის საბეითო ინსტიტუტისა. ახალი წესდებისა და შტატის შემუშავება უკვე შეუდგომიან.

** როგორც გაზ. „ნოვ." გადმოგვცემს, კავკასიაში ქვა-მადნების დასამუშავებლად სდგება ახალი საზო-

გადოება. ერთ წევრს ახალის საზოგადოებისას, მდიდარს ნავთის-მწარმოებელს, შეაქვს საზოგადოებაში 1,500,000 მანეთი, დანარჩენ წევრებს არა ნაკლებ 15,000 მანეთისა თითოს. ძირის თანხად საზოგადოებას 6,000,000 მანეთი ექნება. თითო აქცია 5 ათასი მანეთი ეღირება. წესდების პროექტი უკვე შეუდგენიათ და ამ ახლო მომავალში წარუდგენენ კიდეც მთავრობას დასამტკიცებლად.

** რედაქციამ მიიღო „ოცი წლის წინათ“, მოთხრობა გიორგი წერეთლისა. წიგნი 35 გვერდს შეიცავს, კარგად არის დაბეჭდილი და ღირს ორ შაურად.

** ქალაქის გამგეობას ქალაქის სას წავლებელთა კომისიის დროებითმა თავმჯდომარემ, ბ ხმა არლუთინსკი დოლგორუკოვმა წარუდგინა განსახილველად სას წავლებელთა მცირე კომისიის წევრის ბ ნ მ. ი. კესელოვზოროვის მოხსენება, რომელშიაც იგი აცხადებს, კუკიის ქალაქის სასწავლებლის მოსათავსებლად გვსინჯე ს. ჭრელაშვილის სახლი, რომელიც მეტად მოსახერხებელი იქმნება სასწავლებლისთვისაო. ჭრელაშვილი სასწავლებლისათვის ქალაქს უთმობს სახლს 5 წლის ვადით წელიწადში 1000 მან. გამგეობამ დაადგინა: დაქირავებულ იქმნას კუკიის სკოლის მოსათავსებლად ანდრეევის ქუჩაზედ ს. ჭრელაშვილის სახლი 5 წლის ვადით წელიწადში 1000 მან. და ამასთანავე წინადადება მიეცეს ჭრელაშვილს შეაკეთოს თვისი სახლი სკოლისთვის ისე, როგორც მცირე კომისია იცნობს საჭიროდ.

** პოლიციის მეშვიდე ნაწილის ბოქაული აცნობინებს ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ ქალაქის მკურნალ პროზოროვისთან ერთად დაკვთვალიერე ოსიპოვისა და აკოფოვის თევზის საწყობები და სულთანოვის თევზით სავაჭრო დუქანი, სადაც ერთ ფუთამდე უვარგისი და აყროლებული თევზი აღმოჩნდაო. ეს თევზი მაშინვე დაუწვავთ. ვასხეთის მოედანზედ კიდევ 2 ურემი გაფუჭებული საზამთრო, ნესვი, კაშლი და სხვა ხილი უნახავთ, რომელიც აგრეთვე გადაუყრიათ.

** სოფ. მარტყოფი. 23 ივლისს აქ ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან ი. უანჩელის თაოსნობით გამართულ იქმნა წარმოდგენა მარტყოფის ტაძრის სასარგებლოდ. წარმოადგინეს: „არც აქეთ, არც იქით“, „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“ და „დატრიალდა ჯარა“. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, რომელმაც ძრიელ ისიამოვნა და კმაყოფილი დაბრუნდა. მოთამაშეთ თვისი როლები კარგად შეასრულეს.

** ვარციხე. პარასკევს, 28 ივლისს, დილიდგან ნაშუადღევის 7 საათამდე წყნარი სასიამოვნო ამინდი იდგა, სალამოს დასავლეთის მხრივ გამოჩნდა პატარ-პატარა ღრუბლები, რამდენისამე წუთის შემდეგ ცა შესამჩნევად მოიღრუბლა, დაიწყო ჭექა-ქუხილი და კოკის-პირული წვიმაც დაუშვა. მეხის ხმა ისე ხშირად ისმოდა, რომ მსმენელთ დიდს შიშს აგრძნობინებდა. სხვათა შორის დაჰკრა 300 ფუთიან თივის ზვინს ბ-ნ ანანოვისას, გაუჩინა ცეცხლი და ცოტას მეტი სულ დაიწვა. ამისთანა ძლიერი და ხშირი მეხის ხმა არავის ახსოვს.

** კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოს იქით, ტბასთან, ჩხუბი მოსვლიათ მწყემსებს, რომლის დროსაც ალექსი ცანურაშვილს ქვა დაურტყავს თავში ბიძაშვილის ესტატე ცანურაშვილისათვის, რომელიც იქვე გარდაცვლილა თურმე.

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მესამე მორიგი კრება

26 ივლისი

კრება დაიწყო დილის 10 საათზედ კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსის თანაშემწის სტატსკი სოვეტნიკის მ. ი. ჩენგერის თავმჯდომარეობით ქალაქის თეატრში. სცენაზედ სდგას გრძელი მაგიდა, რომლის გარშემო თავმჯდომარეს გარდა სხედან სხვა-და-სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი, რომელთა შორის ჩვენ შევნიშნეთ უგან. თ. პ. გრუზინსკი, რკინის გზის სამმართველოს წარმომადგენელი ბ-ნი კარპოვი, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი ბოგოროდსკი, ქ. ფოთის წარმომადგენელი, ქ. ქუთაისის წარმომადგენელი ბ-ნი ი. გ. ჩიმაკაძე, სამთო ინჟენერი ბ ნი ცეიტლინი, თანაშემწე სამთო ინჟენერისა ბ-ნი მარკოვსკი, სასწავლო უწყების წარმომადგენელი სახალხო სკოლების ინსპექტორი პ. ი. სავიჩი და სხ.

დარბაზის აქეთ-იქით ლოჟებში სხვა-და-სხვა გაზეთების წარმომადგენელნი არიან.

თავმჯდომარემ კრება კანონიერად აღიარა და წინადადება მისცა კრების მდივანი აერჩიათ. საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნ გ. ფ. ზდანოვიჩმა დაასახელა მდივნად ბ-ნი დ. ბ. მდივანი, როგორც გამოცდილი კაცი მდივნობის საქმეში. სხვებმა დაასახელეს პ. რ. სურგულაძე. ხმის უმეტესობით (ადგომით) არჩეულ იქმნა ბ-ნი სურგულაძე. რჩევის თავმჯდომარემ ბ ნ ზდანოვიჩმა სთხოვა თავმჯდომარეს, შეემოწმებინათ ვექილობები და სია, ვის რამდენი ხმა აქვს კრებაში. კრების თავმჯდომარემ სთხოვა კრებას ვექილობების შესამოწმებლად ასისტენტები ამოერჩიათ. საზოგადოებამ სამი კაცი დაასახელა: ბ-ნნი სევ. გაჩეჩილაძე, სამ. ფირცხალავა და ს. ა. ქვარიანი. შეუდგნენ ვექილობების შემოწმებას, მაგრამ ნახევარის საათის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ, ვინაიდგან ვექილობა მრავალია და მათი შემოწმება ერთისა და ორის საათის განმავლობაში შეუძლებელიაო, ამის გამო კრება გადავდე სალამოს შვიდის საათისათვისო.

შეიკრიბა-რა სალამოზედ, მთელი სალამო კრებამ მოანდომა კრების საბჭოს, ვაგონთა დამნიშვნელის კომიტეტის და ფულის შემოსავალ-გასავლის შემამოწმებელ სარევიზიო კომისიის ანგარიშების გარჩევას.

თ. ს. წერეთელი. ვთხოვ ბ ნ თავმჯდომარეს წააკითხვინოს მდივანს ოქმი დილანდელის კრებისა, რომ ყველამ გავითვალისწინოთ, კრებას რაზედ ჰქონდა დილას საუბარი და რა აზრი წარმოითქვა სასაუბრო საგნის შესახებ.

თავმჯდომარე. დღევანდელის კრების ოქმი ხვალ იქნება წარმოდგენილი და, თუ ვისმე რაიმე შენიშვნა აქვს სათქმელი, ხვალ ჰბრძანოს.

ზ. ოჭანეზოვი. მე მსურს გავიგო საანგარიშო დროს განმავლობაში რამდენი შავი ქვა იქმნა მადნებიდგან ამოღებული და რამდენი წავიდა საზღვარ-გარეთ. როგორც საბჭოს ანგარიშიდგანა სჩანს, საბჭოს უხელმძღვანელნია დამოჟნის ანგარიშით და არა რკინის გზის ცნობებით, რომელიც უფრო მართალი უნდა იყოს.

ქვარიანი ს. ა. ეგ კი არ არის ჩვენთვის საჭირო, ჩვენ ის უფრო გვაინტერესებს, თუ როგორ არის განაწილებული ბაქანი ჭიათურაში?

ზ. ოჭანეზოვი. ხელ-ახლად სთხოვს საბჭოს თავმჯდომარეს, უპასუხოს წინანდელ კითხვაზე და რაღაცას ჩივის საბჭოს განკარგულებაზედ, ვითომც საბჭო გატანილის შავი-ქვის რაოდენობას ისე არ ანგარიშობდეს, როგორც რიგია.

თავმჯდომარე. თქვენს კითხვას არავითარი კავშირი არა აქვს საკამათო საგანთან.

გ. ფ. ზდანოვიჩს სურს პასუხი მისცეს ოჭანეზოვს, მაგრამ თავმდომარე სიტყვას აწყვეტინებს.

მდივანი კითხულობს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, საიდგანაცა სჩანს, რომ საბჭოს ყოველივე მოქმედება კანონიერი და წესიერი ყოფილა, შემოსავალ-გასავალი სრულის სიმართლით ყოფილა ნაწარმოები და ქონებაც მშვენიერს მდგომარეობაში ყოფილა.

ხოლო კრების წევრნი ბ-ნნი სევ. გაჩეჩილაძე და ს. ა. ქვარიანი არ დაკმაყოფილდნენ ამ მოხსენებით და განაცხადეს სურვილი, რომ ამორჩეულ იქმნას ახალი კომისია, რომელიც ორის დღის განმავლობაში გასინჯავს საბჭოს მიერ შედგენილ ფულის ანგარიშს და შეადარებს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, რადგან ვითომც ამ მოხსენების ზოგიერთი მუხლი არ ეთანხმებაო საბჭოს მიერ წარმოდგენილს ფულის ანგარიშს. უნდა ვთქვათ, რომ ვერც ერთმა და ვერც მეორე ორატორმა ვერ დაასახელა, სახელდობრ რომელი ნაწილი ერთის ანგარიშსა არ ეთანხმებოდა მეორეს, თუმცა არა ერთმა წევრთაგანმა მოსთხოვა ეს დასახელება. ეტყობოდათ, რომ არც ბ-ნი ქვარიანი და არც გაჩეჩილაძე კარგად არ იყვნენ გაცნობილნი ანგარიშთან.

ზდანოვიჩი გ. ფ. (საბჭოს თავმ.) არსად არ არის მიღებული, რომ სარევიზიო კომისიის ნამოქმედარის გასარჩევად ხელ-ახალი კომისია დაინიშნოს.

ი. ლორთქიფანიძე. (წევრი სარევ. კომისიისა). მე სრულიად წინააღმდეგი არა ვარ კომისიის დანიშვნისა, თუ კრება ამას იკადრებს; აქ დაფარული და საიდუმლო არაფერია. მე მხოლოდ ვითხოვ, ოქმში შეტანილ იყოს სახელი და გვარი იმ წევრთა, რომელთაც ახალი რევიზიის დანიშვნა ინებეს.

ემერიკ გ. გ. ვთხოვთ ბ-ნ გაჩეჩილაძესა და ქვარიანს, შეგვატყობინონ რა უთანხმოებას ჰხედავენ? არავითარი უთანხმოება არ არის, ამიტომ ტყუილი დროს დაკარგვა იქმნება ახალის კომისიის დანიშვნა. ისე რომ მოვიქცეთ, შესაძლებელია ამ ახალ კომისიის შესახებაც კიდევ ვინმე განაცხადოს უსაფუძვლო ეჭვი და კრებას ხელ-ახალის კომისიის დანიშვნა კიდევ დასჭირდება.

თავმჯდომარე. სარევიზიო კომისიაში მონაწილეობას იღებდა მთავრობის მიერ დანიშნული მოხელე. აქ არავითარ ბოროტ-განზრახვას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ხვალ დაგირიგდებათ საბჭოს ვრცელი ანგარიში, საიდგანაც ცხადად დაინახავთ, თუ სადმე რამე შეცდომა არის.

კრება შეწყვეტილ იქმნა ხუთის წამით.

კრების დაწყებისთანავე საბჭოს თავმჯდომარემ გ. ფ. ზდანოვიჩმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება, თუ რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ შავი ქვის მწარმოებლებისათვის სამთო საქმის მცოდნე კაცები, რომელთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში ძალიან მცირეა. ამის გამო წინადადებას აძლევდა კრებას იშუამდგომლოს მან მთავრობის წინაშე ან შტეიგერების სკოლის დაარსების შესახებ, ან სამთო დესეტკინების სკოლისა. თუ არც ერთის და არც მეორის დაარსება არ მოხერხდება, იმ შემთხვევაში კრებამ გადასდოს იმდენი საშუალება, რომ გაიმართოს ქუთაისის გუბერნიაში პრაქტიკული კურსები სამთო საქმის შესასწავლადო; ამასთანავე კრებას მოაგონა, რომ პირველს მორიგ კრებაზედ გარდაწყვეტილიყო შავი ქვის მწარმოებლებმა იქონიონ სტიპენდიები იმათთვის, ვინც ისურვებს სამთო სწავლის შეძენასაო. კრებას მოახსენა თხოვნა სტუდენტის სამთო აკადემიისა პაპავასი, რომელიც შვილია შავი ქვის მწარმოებლისა; იგი ითხოვს რვაას მანეთ შემწეობას, რომ საზღვარ-გარეთ დაასრულოს სამთო აკადემია და შემდეგ ამ ფულს ისევ დაუბრუნებს კუთვნილებისამებრ.

ქვარიანი ს. ა. სტიპენდიების დანიშვნის წინააღმდეგი არავინ იქნება, მაგრამ, ურიგო არ იქნება, სტიპენდიატმა მიღებული მის მიერ ფული უკანვე დაუბრუნოს შავი ქვის მწარმოებლებს, როცა სწავლას დაასრულებს და სამსახურში იქნება.

ემერიკ გ. გ. მე მსურს ერთ გარემოებას მივაქციო თქვენი ყურადღება: თერთმეტი წელიწადია, რაც მე აქ საქმეს ვაწარმოებ. რამდენჯერმე რუსეთიდან და სხვა ქვეყნიდანაც გამოვიწერე შტეგერი, ჯამაგირიც კარგი დავუნიშნე, მაგრამ ვერას გზით აქ ვერ გავაჩერე. ამის გამო საჭიროდ მიმაჩნია, თუ სტიპენდიები დაარსდება, სტიპენდია მიეცეს მხოლოდ იმისთანას, რომელიც ამ ქვეყანასთან დაკავშირებულია მტკიცე კავშირით, სულით, გულით, სისხლითა და ხორცით.

თუმცა ისიც უნდა მოგახსენოთ, მე წინააღმდეგი ვარ სტიპენდიების დანიშვნისა და უფრო სასარგებლოდ მიმაჩნია სამთო დესეტნიკების სკოლის დაარსება.

თავმჯდომარე. როგორც სჩანს, ზოგს სტიპენდიების დანიშვნა ჰსურს, ზოგს სკოლის დაარსება. საჭიროა ეს საგანი ხმის უმეტესობით გადასწყდეს.

ი. ზ. გ. წულუკიძე. მე ვერ გამიგია, რა სახით გვემსახურება ჩვენის სტიპენდიით გამოზრდილი კაცი? ამისთანა პირობების დადება მხოლოდ მთავრობას შეუძლიან და არა ჩვენ. არც მაქვს იმედი, რომ ვინმემ ფული დაგვიბრუნოს. ამის მაგალითი მრავალი სტუდენტია.

ემერიკ. გ. გ. ჩვენი კრება გამსესხებელ კასსას ხომ არ წარმოადგენს, რომ სტიპენდიანტებს ფული უკანვე მოვთხოვოთ. ფულის უკან დაბრუნება უარ ვყოთ.

ზდანოვიჩი გ. ფ. პირველს მორიგ კრებაზედ სტიპენდიების დანიშვნა უკვე გარდაწყვეტილია, აქ სალაპარაკო მხოლოდ ის არის — თითოეულ სტიპენდიატს რამდენი მიეცეს.

ფირცხალავა სამ. ბ-ნო თავმჯდომარევ, უმრავლესობას რუსული ენა არ ესმის და ვერ გაიგო, რის შესახება გვაქვს ლაპარაკი. ნება გვიბოძეთ იმ ენაზედ აუხსნათ მათ საკამათო საგნები, რა ენაც ესმით.

თავმჯდომარე. ამ საგნის შესახებ უნდა ვიხელმძღვანელოთ წესდების მე-II § შენიშვნით, რომელიც აი რას ამბობს: „იმ წევრებს, რომელთაც რუსული ენა არ იციან, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სჯაბაასში მხოლოდ ამ სახით: მათი მოხსენება უნდა გამოიხატოს პირდაპირ რუსულ ენაზედ რომელიმე სხვა დამსწრე წევრისაგან.“

ფირცხალავა სამ. მე გთხოვთ, ოქმში შეიტანოთ ეს ჩემი განცხადება, რადგან იგი უმრავლესობის სურვილია.

კრება შეწყვეტილი იქმნა ხუთის წამით.

ფირცხალავა. სამ. ბ-ნო თავმჯდომარევ, ჩემი განცხადება შეტანილი იქნება ოქმში თუ არა?

თავმჯდომარე. თუ თქვენი განცხადება საზოგადო სურვილია, იგი წარუდგინეთ კრების საბჭოს, რომელიც მომავალ მორიგ კრების განსახილველ საგანთა შორის შეიტანს. მე უმჯობესად მიმაჩნია, დაინიშნოს: ხუთი სტიპენდია სამთო უმაღლესს სასწავლებლებში და ხუთი დაბალში.

თ. ს. წერეთელი. რა საშუალების პატრონი ვართ, ის უნდა ვიცოდეთ, რომ შეძლებისა და გვარად სტიპენდიებიც დავნიშნოთ. საბჭომ ეს უკეთ იცის, უმჯობესია ამის გაწესრიგება იმას მივანდოთ.

ბ-ნი ცეიტლინი (სამთო ინჟენერი). ბატონებო, მივაქცევ თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ჯერ-ჯერობით თქვენთვის აუცილებლად საჭიროა დაბალ სამთო სასწავლებელში სწავლა შესრულებული კაცები. სტიპენდიების დანიშვნის დროსაც ამ აზრით იხელმძღვანელეთ.

ბოლოს თავმჯდომარემ დააპირა საკამათო საგნის გარდაწყვეტა ფეხზე ადგომით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კრების დარბაზში მრავალი არა წევრიც ყოფილიყო. ამის გამო ეს საგანი არ გადაწყდა და კრება გადაიდო მეორე დღის სალამოსთვის.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ქედა (ქვემო აჭარა), 26 ივლისი. აგერ ორი თვეა, რაც ჩვენში ნამი წვიმა არა ყოფილა და ისეთი სიცხეები იყო, რომ ნათესი სიმინდები სულ ერთიანად ამოსწვა და ღარიბ ხალხს სიმინდის მოსავალის იმედი აღარა ჰქონდათ. შიმშილობას მოელოდნენ, მაგრამ ბედმა გაგვიღიმა, ამ თვის 25 ისეთი ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, რომ სიმინდები მოაბრუნა და იმედია, შიმშილობას გადავურჩეთ.

წრეულს ჩვენში ხეხილის მოსავალი მოისპო, უმეტესი კაკლისა და ვაშლისა. მსხალი და კაკალი, ვგონებ, ხუთ წელიწადს აღარ მოისხამს. ისე გაახმო ეს ხეხილები მაისის სიცივემ, რომ ხმელი ქერქი ძირს სცვივა. ახალი კაკალი წამლად არ იშოვება, მსხალი გირვანქა ჩვენ ბაზარში შაურად იყიდება და შარშანკი გირვანქა კაპეიკად იყო. აბა რა უნდა ჰქმნას ღარიბმა ხალხმა. გარდასახადი რით უნდა გადავიხადოთო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცოლ-შვილი რით უნდა ვარჩინოთო, ამ ფიქრშია ხალხი. თუმცა-ღა ყურძენს—ჩხავერს პირი კარგი უჩანს, თუ ბოლოს ბედმა არ გვიღალატა, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ღვინის კეთების ხელი არ იციან, რომ ღვინო გაჰყიდონ და ისარგებლონ. ღვინის კეთება აქ ცოდვად მიაჩნია ხალხს და ჩხავერს ყურძენს ისე უბრალოდ აფუჭებენ.

ჩვენში ყველაფრის სიძვირე ჩამოვარდა, უმეტესად ერბო-ყველისა და ხორცისა. ამას წინად ხორცი იყო ერთი ოყა სამ შაურად, ერბო სამ აბაზად, ყველი აბაზად, ეხლა ერთიორად ჰფასობს. ღარიბი ხალხი რაღაცა ერთ ოყა ხორცს მაინც იყიდდა და ცოლ-შვილს მოუტანდა, ისიც ვეღარ იყიდა სიძვირისა გამო.

ამას წინად მოხსენებული გვქონდა მადნეულობის შესახებ, რომ სადაც წითელი ქვები ნახეს, ნიმუშებად წაიღეს-მეთქი. ერთი მადანი ნამდვილი გამოდგა სოფელ ბერისში. აგერ სამი წელია, რაც ამუშავებს ვიღაცა ვაჭარი რიხნერი. მცხოვრებლებმა დიდი ფული შეიძინეს და მადლობელი არიან. გავარდა ხმა, რომ მადანი გამოილია და აღარაფერი არ შემოდისო. თურმე ტყუილი ხმა დააგდო ვაჭარმა, რომ სხვა არავინ შემეცილოსო. უმთავრესი მიზეზი ამისის საქციელისა ის ყოფილა, რომ ბ-ნ ტოფან ბეგ-შარვაშიძეს აქვს თურმე სოფელ ბეძიბნაში ახლად გამოჩენილი სპილენძის მადანი, რომელიც ყველაზედ უკეთესია ამ აჭარაში და მცხოვრებლებს დიდი სიხარული აქვთ, რომ მრავალს სარგებლობას მოგვიტანსო. ამ მადნის პატრონმა ბ-ნმა შარვაშიძემ განაჩენი დაადგენინა, რომ ფუთ გატანილ მადანზედ ერთი კაპეიკი გადაიდოს საზოგადო სასარგებლოდ. ხალხს ეს დიდად ესიამოვნა და მადლობა უთხრეს.

აბდულ-ეფენდი-მიქელაძე

## წერილი სამეგრელოდგან

ჩვენს სიმდიდრის ერთად-ერთ წყაროდ და ცხოვრების მრავალგვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მეგრელებს დღემდე მარტო სიმინდი მაგვაჩნდა. მართლაც ამ ბოლოს დრომდე ალებ-მიმცემობის ჩარხს ჩვენში მხოლოდ სიმინდი ატრიალებდა. თუ მეგრელი წარსულს წლებში თავისს ოფლით მონახვეჭს ფუთს სიმინდის გაყიდვას 50 კაპ. მოახერხებდა, ეს მისთვის დიდი განძი იყო, დიდი სიხარული, მიტომ რომ ამ გზით მეგრელი ცხოვრების საზოგადო თუ კერძო მოთხოვნილებას ასე თუ ისე უძღვებოდა.

მაგრამ დღეს ცხოვრებამ ფერი იცვალა. ამ ცვლილებამ დაჰბადა მრავალი სხვა-და-სხვა მოთხოვნილება, რომელიც დროის შესაფერს ცოდნასა და ბრძოლას თხოულობს; ჩვენ-კი, მეგრელები, მამა პაპურს გზა-კვალს ვადგევართ და არა გვსურს, სადაც საჭიროა, ძველი განი გამოვიცვალოთ, ცხოვრებას სულ სხვა თვალით შევხედოთ, კარგად დავაკვირდეთ და შევიგნოთ, თუ სად იმალება უმთავრესი მიზეზი ჩვენის ასეთის საშინელის ეკონომიურად დაქვეითებისა.

დღეს ყველანი ერთხმად გაიძახიან: „დაიწია სიმინდის ფასმა და ჩვენც დავიღუპენითო". რათქმა უნდა, ჩვენს მე[illegible]მა ხალხს დაღუპვა მოელის, თუ ამ დროზედ არ გამოიღვიძა და ის უმეცრების ჯაჭვი, რომელიც მას ხელ-ფეხს უბორკავს, დროზედ არ მოიცილა. მეგრელებს ვერას გზით ვერ დაარწმუნებთ, რომ სიმინდის გარეშეც შეიძლება ხსნა-შველა; რომ თამბაქოს და ბამბის მოყვანას, მეფუტკრეობას, მევენახეობას, შინაურ საქონლისა და ფრინველთა მოშენებას და სხვ. მრავალ ფრიად სასარგებლო მეურნეობის დარგსა, თუ ბეჯითად მოეკიდებს ხელს, ყველა სიმინდზედ უფრო მეტს ხეირს მისცემს. ამათგან მეგრელებს მხოლოდ მეაბრეშუმეობა შეჰყვარებიათ და ამიტომაც არის, რომ მათი შრომა მშვენიერის ნაყოფით დაგვირგვინდა. წრეულს თითოეულმა ოჯახმა ფუთის უმ პარკში 16 მანეთი აიღო, რამაც ხალხი საშრომად ძლიერ წაახალისა. ამის გამო მეაბრეშუმეობამ წელს დიდი ფული დაატრიალა სამეგრელოში: ვაჭრობას მეტი სიცხოველე დაეტყო, ყველგან საამო მოძრაობაა და სიხარული.

ეგ სასიამოვნო მოძრაობა და ფაცი-ფუცი მაშინ უფრო გაძლიერდება, როცა მეაბრეშუმეობის გარდა სხვა გამოსაყენებელ და სასარგებლო მეურნეობის დარგსაც სიფიცხლიანად შევისწავლით და ბეჯითად მოვკიდებთ ხელსა. საჭიროა დროის შესაფერ სწავლა-განათლებით ვიყოთ აღჭურვილნი, რომ უფრო მტკიცედ შევებრძოლოთ ბრძოლას არსებობისათვის. ჩვენთვის ეხლა ყველაზედ მეტად სამეურნეო ცოდნათა და სხვა-და-სხვა მრეწველობის გამავრცელებელი სკოლებია საჭირო. მეგრელები-კი, სამწუხაროდ, ამ ნაირ სკოლებს გვერდს ვუქცევთ. დროა საღათას ძილს თავი დავანებოთ და შევიგნოთ, რომ სულ სხვა ჟამი დადგა და სხვა ნაირი ბრძოლა და ცოდნა-განვითარება გვჭირია.

შენიშნულია, რომ რამდენადაც ხალხი დაბლა სდგას თავისის განვითარებით, იმდენად მას ცხოვრებაც უმძიმს,—ბრძოლა არსებობისთვის სასტიკი და მწარეა. განუვითარებელს, მოუმზადებელს ხალხს ცხოვრება ავიწროებს, ამარცხებს. მხოლოდ იმ ხალხსა აქვსო მერმისი, ამბობს მეცნიერება, რომელსაც მალე შეუძლიან შეიგნოს ცხოვრების ახალი მოთხოვნილება და დროზედ გაუმკლავდება იმასაო.

ჩვენ-კი სულ გვძინავს და არ იქმნა ჩვენი გამოღვიძება! ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე სხვებს, ვიღაც სხვა მხრით ჩამოსულს ჩარჩებს, ჩაუგდიათ ხელში. ეგ ჩარჩნი ჰღუპავენ ჩვენს ქვეყანას, მაგათ მიაქთ ნახევარ ფასად ჩვენის ქვეყნის ნაღვაწ-ნადაგევი; ჩვენ-კი თითქმის ამას ვერა ვხედავთ, ვიღუპებით და არ გვინდა საშველად ხელი გავანძრიოთ. მერე რად ნეტა? რადა და იმად, რომ ჩვენ არა გვაქვს უნარი ან და არა გვსურს ერთმანეთს ძმურად ხელი მივცეთ და ამხანაგობანი შევადგინოთ ყველა საქმეში, ვიმოქმედოთ შეთანხმებით და ჩარჩებს არ დავანებოთ ჩვენის ერის ნაღვაწ-ნადაგი.

დიდება და პატივისცემა ამ მხრივ ქუთაისისა, გუსისა, ოზურგეთისა და სენაკის მეაბრეშუმეთა ამხანაგობას—„შუამავალს", რომელმაც წელს შესანიშნავად აღაგმა „ჩარჩ-წურბელების" გაიძვერობა თავგასულობა და ფუთის პარკის ფასი ჩვენშიაც, ზუგდიდშიაც 16 მანეთამდე ასწია. რა უშავდა, რომ ზუგდიდის უშველებელ მაზრაშიაც შემდგარიყო ასეთი ამხანაგობა, როგორიცაა სხვაგან, ან და სენაკის „შუამავლისათვის" მხარი დაეჭირა ზუგდიდელებსა. ამით ხომ ჩარჩები დამარცხდებოდნენ და მშრომელი ხალხიც მეტს მოიგებდა! „ფული არა გვაქვს, ფულიო", გაიძახიან ჩვენში. მართალია, თითოეულს ჩვენთაგანს მილიონები არ აქვს, მაგრამ, რაც გვაქვს, ის ერთად უთუოდ მილიონებს შეადგენს, ზღვაც წვეთებიდგან შესდგება.

იმედია, წარმოდგენილი გამოცდილება სავსებით მაინც ბევრს რასმე მიგვახვედრებს და გვასწავლის, რომ აუცილებლად საჭიროა ჩვენც დავდგეთ ჩვენ [illegible], მიგვახვედრებს, რომ მომავალში მაინც საჭიროა ზუგდიდის მაზრაშიაც დაარსდეს „მეაბრეშუმეთა ამხანაგობა" და ჩარჩებთან გამოუსადეგ კომისიონერობას თავი დავანებოთ, რომ ეს ჩარჩები სამუდამოდ ალაგმულ-დამარცხებულნი იყვნენ.

მიხაკო ვერმიცანაშვილი

# რუსეთი

როგორც ვუწყით, მთავრობას დიდი ხანია განზრახული აქვს ქალაქის წოდებათა შორის ცვლილებანი შემოიღოს. ასეთმა განზრახვამ ამ საქმის დაწვრილებით გამორკვევა ჰყო საჭირო: უნდა შეეკრიბათ სტატისტიკური ცნობანი ყოველ წოდების შესახებ და გაეგოთ როგორ არის წოდებათა საქმე მოწყობილი დასავლეთ ევროპაში. ეხლა ყველა ეს მასალა უკვე შეუკრებიათ და შინაგან საქმეთა სამინისტრო შესდგომია პროექტის შემუშავების საქმეს. უმთავრესი საფუძველი ცვლილებათა შემოღებისა ის არის, რომ უნდათ შეაერთონ ქალაქის მკვიდრნი (мѣщане), ვაჭართა და ხელოსანთა წოდებანი და ერთი სახელი—ქალაქის წოდება უწოდონ, ისე რომ მათი მმართველ-გამგეობა ქალაქის თვით-მართველობას დაავალონ. რჩება კიდევ ერთი, რაოდენობით არა-მცირე, წოდება—პირადნი და შთამომავლობით მოქალაქენი, რომელთაც აქამდე არავითარი გამგეობა არა ჰქონდათ და უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი. ეხლა საზოგადოდ წოდებათა საქმის გაწყობ-რიგების დროს ესენიც მხედველობაში იქმნებიან მიღებულნი. ამ პროექტის შემუშავებას სამინისტრო შემოდგომაზედ დაამთავრებს.

— ამ დღეებში გამოვიდა და დარიგდა რუსეთის იმპერიის მკურნალთა ნუსხა ამა 1900 წლისათვის. როგორც ამ ნუსხიდგან სჩანს, მთელს რუსეთის იმპერიაში ამა მიმდინარე წელს ირიცხება თურმე 19,842 მკურნალი, მათ შორის 19,224 მამაკაცი და 618 დედაკაცი, ბეითალი არის 2,708, კბილის ექიმი 415 და კბილის ოსტატი (დანტისტი) 1,257. საგუბერნიო და საოლქო სამკურნალო გამგეობანი სულ 91-ია, ხოლო საბეითალო გამგეობა—86.

— ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ ბაღ-ვენახის პატრონებსა და ღვინის მკეთებელთ ნება აქვთ თავისის ღვინით ივაჭრონ სამრეწველო გადასახადის გარდაუხდელად, მხოლოდ თავისს საკუთარ ანუ იჯარით აღებულ მამულების საზღვარ შორის და აგრეთვე ტარებითა და დარიგებით წვრილ-წვრილად.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ არ შეიძლება არა-ქრისტიანე ქალთა და კაცთ მიეცეთ მოწმობა სახლის მასწავლებლისა იმავე საპედაგოგიო მოღვაწეობისა და სამსახურის უფლებანით, რა უფლებანიც მინიჭებული აქვს ქრისტიანე სარწმუნოების აღმსარებელთათვის, ხოლო ასეთი მოწმობა-კი შეიძლება მიეცეთ, რომლითაც უფლება ექმნებათ ასწავლონ თავიანთ სარწმუნოების აღმსარებელთათვის.

—

**შეცდომის გასწორება:** წარსულს რუსეთში დაბეჭდილია: „სათამასუქო წერილების", უნდა იყოს: „სათამასუქო წესდების"...

# უცხოეთი

**ჩინეთი.** იაპონიის ჯარს ყველანი განცვიფრებაში მოჰყავს. არავის არ ეგონა დღემდე, თუ იაპონიას ასეთი სამაგალითო ჯარი ეყოლებოდა და სამხედრო საქმე ასე კარგად ექმნებოდა მოწყობილი: აი რასა სწერს „რეიტერის სააგენტოს" კორესპონდენტი: „იაპონიის ჯარი საუცხოვო მაგალითს წარმოადგენს სამხედრო საქმის ორგანიზაციისას. გადაჭრით შემიძლიან ვსთქვა, რომ ასე კარგად მოწყობილი ჯარი არც ერთს სახელმწიფოს არა ჰყავს. იაპონიის ჯარის მთელი მეხანიზმი ისე რიგზედ და წყობისად მოქმედობს, როგორც კარგად მომართული საათი. იაპონიიდგან ტაკუში პატარა, მშვენივრად მოწყობილი ნავები გამოგზავნეს და ჯარი ნაპირზედ ამ ნავებით გადასხეს ისე ჩქარა, ისე წყნარად და მშვიდობიანად, რომ ვერც ერთი სხვა ჯარი ვერ მოახერხებდა ამას. იაპონიის ჯარის მართვა-გამგეობა, ჯარის კაცთა სიმამაცე, გაქრიცობა და ინტელიგენტობა აკვირვებს და აცვიფრებს ევროპიელთა ჯარის აფიცრებს, ინტელიგენტობით, ვგონებ, იაპონელ ჯარის კაცს ვერც ერთის სახელმწიფოს ჯარის კაცი ვერ შეედრება".

— ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ ტიან-ძინის მახლობლად 10 ათასი ჩინელ-ქრისტიანე ამოსწყვიტესო. ეს ხმა თან და თან მართლდება. „Daily News"-ს ატყობინებენ: „დებოსიდგან გამოქცეულნი (დებოსი ქალაქია, ტიან ძინიდგან 10 მილის მანძილზედ მდებარეობს და ჩინელ ქრისტიანებით არის დასახლებული) ამბობენ, რომ დებოსის მცხოვრებნი, ჩინელ ქრისტიანნი თითქმის სულ ამოწყვიტა საიმპერატორო ჯარმაო. ეს ჯარი შესდგება 1500 ქვეითა ჯარის-კაცთა და 500 ცხენოსნითაგან. ქრისტიანეთ უწყალოდ ულეწავენ სახლებსა, ქუჩებსა და მოედნებზედ, ერთის სიტყვით სადაც მოახელებენ".

გაზ. „Rerl. Local Anreiger"-ში დაბეჭდილია შინაარსი „მოკრივეთა" ერთის პროკლამაციისა. „ჩვენში მხოლოდ იმას შეუძლიან თანამდებობის, ხარისხის და ჯილდოს მიღება, ვინც მდიდარია, ნათქვამია ამ პროკლამაციაში,—ფულით ყველაფერი კეთდება. იმპერატორი მდიდარ მინისტრებს ართმევს ფულს, მინისტრები—მანდარინებს, ხოლო ეს უკანასკნელნი ხალხსა სძარცვავენ და სწოვენ სისხლს. ხალხი გაღარიბებულ-გაღატაკებულია იმიტომ, რომ იმის ქონება-ავლადიდება მოხელეთა ჯიბეში გადადის. უქრთამოდ არც ერთის საქმის გაკეთება არ შეიძლება. მოხელენი ფულის მეტს არაფერს არ აქცევენ ყურადღებას: აღარც უფლებას, აღარც კანონს და აღარც სამართალს. ტყვეი სიმკაცრე მოხელეთაგან გაუნათლებელ და უმეცარ ხალხს. გინდაც რომ სიმართლე შენ მხარეს იყოს, მთავრობის დაწესებულებაში მაინც ვერაფერს გაიწყობ, თუ ფული არა გაქვს და ფულით გული არ მოულბო მოხელეს. ზეცამ ვეღარ აიტანა ამდენი უსამართლობა და სხვა და სხვა სულნი გამოგზავნა დამნაშავეთა დასასჯელად. თვით იმპერატორი, ეს თავი და ბოლო ყოველის სიბოროტისა და უსარგებლობისა, უკვე დასჯილია იმით, რომ შვილი არ მიეცა. სხვებს უარესი უბედურება დაატყდება. ყველა ამ უბედურებასთან ერთად ჩვენს იმპერიას სხვა უბედურებაც ზედ დაატყდა: შემოვიდნენ უცხო-ქვეყნელი ქადაგები თავიანთის ქრისტიანულის სწავლით. ბევრ ჩინელს მიაღებინეს კათოლიკობა და პროტესტანტობა, მერე იცით რა საშუალებით: მოტყუებით, ფულით და ქრთამობით. ქრისტიანეთა სარწმუნოება და ეკკლესიები მიკლებულია ყოველ კაცობრიულ პრინციპებს. ეს სარწმუნოება ცბიერებაზედ და ტყუილზედ არის დაფუძნებული. ეგრედ წოდებული მისიონერები ძალმომრეობასა ჰხმარობენ და ხალხს ახრწნებენ. ჩვენში არც ერთს კაცს არ მიუღია გულ-წრფელად ქრისტიანობა: ზოგი მისიონერთა ფულს დაჰხარბდა, ზოგი იმათ დაჰხმარებას და ზოგი კიდევ რას. აი რამდენი უბედურება გვეწვია. ეხლა დადგა დრო ამის თავიდგან ასაცილებლად".

**იტალია.** ახალი მეფე იტალიისა, განსვენებულის ჰუმბერტის შვილი, ვიქტორ-ემმანუილი III დაიბადა ნეაპოლში 1869 წელს სიყმაწვილე მეფემ მონცასა და რომში გაატარა. 12 წლამდე ვიქტორ-ემმანუილს თვით დედა ზრდიდა, შემდეგ იმისი აღზრდა 20 წლამდე პოლკოვნიკს ეგოდიო ოსიოს ჩააბარეს. იმავე დროს პრინცთან მასწავლებელნი დადიოდნენ და სხვა და სხვა საგნებს ასწავლიდნენ. ვიქტორ-ემმანუილმა ძალიან ბევრი იმოგზაურა: 1890 წელს იყო საბერძნეთსა, ოსმალეთსა, მცირე აზიასა და კავკასიაში; 1891 წელს—ინგლისსა, შვეციასა, დანიასა, ბელგიასა და ჰოლანდიაში. შემდეგ წლებში—გერმანიასა, ავსტრიასა, შვეიცარიასა და შუაგულ ევროპის სხვა ადგილებში. დაესწრო, სხვათა შორის, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის გვირგვინის კურთხევასაც. აქვე, რუსეთში, გაიცნო ჩერნოგორიის მთავრის ნიკოლოზის ასული ელენე (ელენემ განათლება რუსეთში მიიღო), რომელიც შემდეგ ცოლად შეირთო. მეფე ვიქტორ ემმანუილი მხნე, მეცადინე და მშრომელი კაცია თურმე.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

რა ნაირ ხასიათის პატრონს არ შეხვდებით ამ ქვეყნად. ნოვოჩერკასკში, მაგალითად, სცხოვრობს თურმე ერთი მოხელე, რომელსაც უცნაური ჩვეულება ჰქონია სიმთვრალეში: წავა ხოლმე ქალაქის უმთავრეს ბაღში, გაიხდის ტანისამოსს, ამოიდებს თავით და სრულიად ტიტველი იძინებს. ამას წინად ეს მოხელე პოლიციელებს გაუღვიძებიათ და პოლიციაში მიუყვანიათ. მეორედ თვით მისულა პოლიციაში და გამოუცხადებია: მთვრალმა კიდევ გავიხადე, ტანისამოსი თავით დავიდე და დავიძინე. ძილის დროს ვიღაც მოსულა და ჩემი ტანისამოსი წაუღია, ასე რომ სახლამდე შიშველ-ტიტველა მამიხდა მგზავრობაო.

* * *

განსვენებულ ჰუმბერტოს შესახებ მრავალ ამბებს გადმოგვცემენ. აი, სხვათა შორის, ერთი გაზეთი რასა სწერს. ერთხელ დილით ადრე მონცაში მეფე გასასეირნებლად გავიდა. ბაღში სიარულის დროს ორ ბავშვს მოჰკრა თვალი. ბავშვები რაღაცას ლაპარაკობდნენ და თან მალ-მალ თითს მეფისაკენ გაიშვერდნენ ხოლმე. როგორც სჩანდა, მეფეზედ ლაპარაკობდნენ. ბოლოს ერთი ბავშვი გაქანდა პირდაპირ მეფისაკენ, მივიდა და უთხრა: „მაპატიეთ, ბატონო, რომ გაწუხებთ, მაგრამ თუ შეიძლებოდეს მომიგეთ: მართალია ხომ, თქვენ მეფე არა

ბრძანდებით?“—რათა გგონია, რომ არავარ მეფე? უთქვამს ჰუმბერტს. „იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ...“ და საწყალს ბავშვს ვერაფერი უთქვამს. მაშინ მეორე ბავშვი მისულა და თამამად უთქვამს: „იმიტომ, რომ თქვენ თავზედ გვირგვინი არ გადგიათ, ბეპპოს-კი ჰგონია, რომ მეფეს ყოველთვის გვირგვინი უნდა ედგას თავზედაო. მე მაშინვე გიცანით, ჩვენ კარგი სურათი გვაქვს თქვენი, 20 ცენტიმი ღირს და რაწამს შემოგხედეთ, გიცანით. ბეპპომ არ დამიჯერა. გვითხარით ეხლა, მართლა მეფე ბრძანდებით თუ არა?“ მეფეს გაუღიმია და უთქვამს, რადგანაც მიცანით, უარს აღარ გეტყვით, მეფე ვარ, და რომ მერეც მიცნოთ ხოლმე ჩემ სურათებს მოგცემთ, უთქვამს ჰუმბერტოს, ამოუღია ჯიბიდგან ოქროს ფული და გადაუცია ბავშვებისათვის. ბავშვები სიხარულით გაქცეულან სახლში.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ივლისი

**პარიჟი.** შაჰი 28 ივლისს ბრიუსელში წავიდა.

ადმირალი კურჟოლი იუწყება, რომ 800 ფრანგი სამის ბატარეით მიემატნენ იმ ჯარს, რომელიც პეკინისაკენ მიდისო.

**ლონდონი.** მეციხოვნე ჯარი კუმასისა გააძლიერეს და სურსათიც მიაშველეს. მოხდა ძლიერი ბრძოლა. ღამე დაანგრიეს ბანაკი კუმასის მახლობლად. ინგლისელთ მოუკლეს ერთი აფიცერი და სამი დაუჭრეს, ჯარის კაცთაგან მოკლული და დაჭრილია 49.

**რომი.** მეფე ვიქტორ-ემანუილმა 29 ივლისს ფიცი მიიღო კონსტიტუციის ერთგულებაზედ.

**პეტერბურგი.** ხარბინის მიდამოები, ვიდრე სენჩენტუნსა, აჟეხესა და ხულანჩენამდე გაწმენდილია ჩინელებისაგან, მხოლოდ აჟეხესთან ესვრიან თოფებს ჩვენს ცხენოსან დარაჯთ. რაზმი დროზედ მივიდა ხარბინში. მიუხედავად იმისა, რომ იერიშით მისული ჩინელები უკუ-ქცეულ იქმნენ, ხარბინში მდგომარეობა ძლიან საშიშო იყო; იერიში რომ გაემეორებინათ, შესაძლებელი იყო დამცველ ჯარს ტყვია შემოჰლეოდა; აღარც ყუმბარები ექმნებოდათ იმ ზარბაზნებისათვის, რომელიც ჩინელებს წაართვეს.

**ნიუ-იორკი.** გაზეთებს ატყობინებენ გონკონგიდგან, რომ სვატაუს გარშემო კიდევ უწესოება და ძარცვა-გლეჯააო. ვიცე-კოროლი არად აგდებს კონსულების საჩივრებს. იუნჯოუში მისსიები დაანგრიეს, ხოლო ადგილობრივი ქრისტიანები ამოწყვიტეს. გონკონგში მყოფმა ამერიკის ელჩმა მიიღო მისსიონერებისაგან შემდეგი დეპეშა: „დასწვეს მისსიათა ორი სალოცავი; მისსიები გაძარცვეს. ჩვენ განსაცდელში ვართ. ტაოტაი არა გვშველის. დაგვიხსენით; ამბოხება ვრცელდება“.

**ბერლინი.** ინგლისის მმართველობა თანახმაა მთავარ-სარდლობა ვალდერზეეს ჩაჰბარდეს, თუ სხვა სახელმწიფოებიც დასთანხმდებიან.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება პრეტორიიდგან 28 ივლისს, რომ ბულლერი ერმელისის ასაღებად მიდის. რენდლმა ბრძანება გასცა, დაეტუსაღებინათ გარრისმიტში მაიორი მარე და 133 შეიარაღებული ბურგერი.

**ბეთლემი.** კიდევ დაჰმორჩილდნენ ინგლისელებს 130 ბური, რომელთაც მილლიონი ტყვია ჰქონდათ. კიტჩენერს ლინდეკესტრიფტთან ბრძოლა ჰქონდა დევეტის უკანა ჯართან. ამავე დროს ჩრდილოეთიდგან, ექვსის მილის სიშორეზე, ისმოდა მეტუენის ზარბაზნების გრიალი.

30 ივლისი

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია: 1) ციმბირის არმიას კორპუსი დღეიდგან იწოდებოდეს 1-ლ ციმბირის არმიის კორპუსად; 2) შესდგეს მე-2 ციმბირის არმიის კორპუსი; 3) დაწესდეს მმართველობა მე-6 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა ბრიგადისა; 4) განზრახულ კორპუსების შესადგენად დანიშნულია: მეორე კორპუსის სამმართველოსი—ხაბაროვსკი, მეექვსე ბრიგადისა—ხაბაროვსკი და 1 ბრიგადისა—ჩიტუ. იმ ჯარებისაგან, რომლებიც დაინიშნენ შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ჯარების საშველად, შესდგეს ორი კორპუსი: მე-3 ციმბირისა და სადესანტო არმიისა. მათ შესადგენ ადგილებად დაინიშნოს მე-3 კორპუსის სამმართველოსი—ჩიტა, სადესანტო კორპუსისა—ვლადივოსტოკი, მე-2 ქვეითა ციმბირის ბრიგადისა—ირკუტსკი, მე-3 ქვეითა ციმბირის ბრიგადისა—ტომსკი და მე-4 ქვეითა ციმბირის ბრიგადისა—ომსკი. პრი-ამურის ოლქის მე-6 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა ბრიგადა შესდგეს: მე-2, 4 და 6 აღმოსავლეთ ციმბირის ლინიის ბატალიონებისაგან; 4) შესდგეს შიდა რუსეთში მე-24 ქვეითივე რაზმი. შესდგეს შიდა რუსეთში ნიკოლაევსკისათვის და გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ ნიკოლაევსკის ციხის ბატალიონი.

შეიარაღებულმა გემებმა აღადგინეს მიმოსვლა სუნგარით ხაბაროვსკსა და ხარბინის შუა. ხაილარი აიღო ჩვენმა ჯარმა 22 ივლისს, ამიტომ საზღვარსა და ხაილარს შუა მუშაობა ისევ დაიწყო. 29 ივლისს განზრახულია დაიწყონ მუშაობა სადგურ ჯარმეტზედ.

**ვაშინგტონი.** იანძუნის აღების შესახებ ადმირალი რემეი იუწყება ტაკუდგან 24 ივლისის თარიღით, რომ სარდალმა, ინგლისის გენერალმა, გაიარა-რა ცხრა მილი იანძუნისაკენ, იერიში მიიტანა, მარჯვენა ფრთაზედ იყვნენ ამერიკელნი და მარცხენაზედ—რუსები. ზარბაზნებისა და თოფის ცხარე სროლას არ შეუშინდნენ, წაიწიეს სამი მილის მანძილზედ და აიღეს პირველი რიგი ჩინელთ სიმაგრეებისა; ამ ბრძოლაში დაახლოვებით 50 კაცი დაჰკარგეს მოკავშირეთა.

**ბერლინი.** ტოკიოდგან 27 ივლისს იუწყებიან, რომ, როგორც შემდეგის ცნობებიდგანა სჩანს, იანცძუნზე იერიში მიუტანიათ ინგლისელებისა, ამერიკელებისა, რუსებისა და საფრანგეთის ჯარებს; იაპონიისა და ინგლისის ჯარები, რომელნიც მარჯვენა ნაპირზედ მოქმედებდნენ, ცუდი გზებისა გამო დროზე ვერ მივიდნენ იანძუნამდე და მონაწილეობა ვერ მიიღეს ბრძოლაში. იაპონელები ზარბაზნებს ესროდნენ უკან დაწეულ ჩინელებს.

**ვაშინგტონი.** კანტონში მყოფმა ამერიკას ელჩმა მიიღო კონჯერისაგან 28 ივლისს ძიპანფუნით გამოგზავნილი დეპეშა, რომლითაც ელჩი ატყობინებს, რომ საელჩოს ისევ ალყა არტყიათ. „უკიდურესი მდგომარეობაა, მაგრამ რაც უნდა მოჰხდეს,—უმატებს კონჯერი,—ჩვენ ბოლომდე გავმაგრდებითო“.

**ტიან ძინი.** პეიძიანთან მომხდარ ბრძოლის დროს იაპონელებს მოუკლეს და დაუჭრეს 300, ინგლისელებს 24 დაუჭრეს; დანარჩენ რაზმებს არა დაჰკლებიათ რა. როგორც ისმის, ჩინელებს ცოტა ზარალი მოსვლიათ. გერმანიისა, ავსტრიისა და იტალიის ჯარები აქ დაბრუნდნენ მაშინ, როდესაც დანარჩენმა ჯარებმა ჩინელები სდევნეს და 24 ივლისს იანძუნი აიღეს.

**შანხაი.** ინგლისელებმა მოულოდნელად 2.500 ჯარის-კაცი გაჰგზავნეს გონკონგიდგან შანჰაიში.

**პეტერბურგი.** ღამე დაიწვა თამბაქოს ქარხანა „ლაფერმი“.

31 ივლისი

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრმა, უმაღლესის ბრძანებით, გაუგზავნა ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის უფროსს იუგოვიჩს დეპეშა, რომელშიაც უმაღლესს მადლობას უცხადებს მოვალეობის შესრულებისათვის. დეპეშა ამ სიტყვებით არის დათავებული: „მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და განაცხადა, დარწმუნებული ვარ, რომ ხარბინის განთავისუფლებისათანავე წინანდელის მხნეობით შეუდგებით რკინის გზის დამთავრების საქმეს“.

**პარიჟი.** ადმირალს სკრიდლოვს ებოძა ორდენი საპატიო ლეგიონისა მეორე ხარისხისა.—დელკასემ მიიღო პიშონისაგან ძუნგ-ლი-იამენისაგან გამოგზავნილი, 25 ივლისის თარიღით, შემდეგის შინაარსის დეპეშა: „ჩინეთის ჯარმა 7 ივნისიდგან, 4 ივლისამდე, ალყა შემოგვარტყა და თოფები და ყუმბარები დაგვიშინა; ოთხი საელჩო ცეცხლისაგან გადაიბუგა; საფრანგეთის საელჩო ნახევრად დამწვარია; ჩვენ კიდევ გამაგრებული ვართ; ჩვენ დავკარგეთ 16 კაცი; ზარალი შემდეგია: 60 მოკლულია, 110 დაჭრილი. მისსიები გადამწვარია, იმათ გარდა, რომელნიც პეტანშია საელჩოს წევრი გვარიანად არიან. ყუმბარების სროლა 4 ივლისიდგან მოისპო, მაგრამ ჩინელები მაინც მოქმედებენ და ხან და ხან თოფებს ისვრიან, თუმცა ზარალს ვერ გვაყენებენ. ჩინეთის მთავრობამ ლაპარაკი აღძრა ჩვენ გასვლის შესახებ, მაგრამ ჩვენ უევროპიელთა დარაჯოთ არ შეგვიძლიან გასვლა: სურსათი და საომარი მასალი გამოგველია და ხელ ახლად რომ თავს დაგვესხნენ, ჩინეთის მთავრობას ჩაუვარდებით ხელში“.

**გონკონგი.** გემები, რომლებზედაც ინდოეთის ჯარია, გაემართნენ შანჰაისაკენ.

**რომი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიიღო დეპეშა პეკინში მყოფ ელჩისაგან, 23 ივლისს გამოგზავნილი. ელჩი იუწყება, რომ ორი თვეა, დეპეშები არ მივვდია. ღამე, 22—23 ივლის, ევროპის ჯარმა პასუხი გასცა ჩინელებს და თოფები დაუშინა, ამასთან მოკლულ იქმნა ერთი რუსი და დაჭრილ—ორი რუსი. „17 ივლისიდგან, ამბობს ელჩი, არავითარი ცნობა არ მიგვიღია მოკავშირეთა ჯარის შესახებ, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ არ დააყოვნებენ და პეკინისაკენ წამოვლენო“.

**ლონდონი** რობერტსი პრეტორიიდგან დეპეშით იუწყება 29 ივლისს, რომ კიტჩინერმა აღადგინა მიმოსვლა მეტუენთანო. მტერი გაექცა კიტჩინერისა და მეტუენის ჯარს, ამასთან მტერმა მოისურვა რკინის გზის ლიანდაგზედ გადასვლა. სადგურ ველვერდიკთან 27 ივლისს, ღამე, მეტუენს ბრძოლა მოუხდა; წაართვა მოწინააღმდეგეს ექვსი ურემი და ორი სასანიტარო ფურგონი.

**ვაშინგტონი.** შეერთებულ შტატების მთავრობამ უყურადღებოდ დასტოვა ჩინეთის ვიცე-კოროლების თხოვნა შანჰაიში ევროპის ჯარის გადასხმის შესახებ.

**პარიჟი.** პარიჟში მყოფმა ჩინეთის ელჩმა გადასცა დელკასეს ცუნგლი-იამენის დეპეშა, რომლითაც ჩინეთის მთავრობამ მიჰმართა ევროპის სახელმწიფოთ და სთხოვა მისწერონ თავიანთ წარმომადგენელთ, წავიდნენ პეკინიდგან ტიან ძინში. დელკასემ დაავალა გადასცენ ცუნგ-ლი-იამენს, რომ ელჩების წასვლა შეუძლებელია, რადგანაც გზაში განსაცდელს ვერ ასცდებიან. ჩინეთის მთავრობამ თავისს გულ-წრფელობის დასამტკიცებლად ნება უნდა მისცეს ჯარს საელჩოების დასაცველად პეკინში შესვლისაო.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% ნ. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 206½ | — „ | — „ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | 89 | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | 101½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | 98½ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | — „ | 86½ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 97¾ | 98 | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 87 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 317½ | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | 269½ | — „ | — „ |

# განცხადებანი


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 1 აგვისტოს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა ერევნის მოედანსა, ველიამინისა და განოვის ქუჩებზედ არსებულ ქალაქის სახლის შელესვისა, შემკულობისა და წინა პირის შეღების საქმე. იჯარა სულ 1200 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9 დგან 3 საათამდე. (3—6.—2)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 2 აგვისტოს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ელისაბედის ქუჩის მოკირწყვლის საქმე. უნდა მოიკირწყლოს ქუჩა ქალაქის სანერგედგან დიდუბის ეკკლესიამდე, სულ 1021 ოთხ-კუთხი საჟენი, სამუშაო 3575 მანეთამდეა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3—6.—2)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 2 აგვისტოს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ალექსანდრეს ბაღის კედლის შეკეთების საქმე. უნდა შეკეთდეს ქვითკირის კედელი და საძირკველი, რკინის მოაჯირი, შეიღებოს ეს მოაჯირი, და სხვა. სამუშაო 3000 მანეთამდეა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3—6.—2)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს იმათ საყურადღებოდ, რომელთაც სთხოვეს გამგეობას მიეცეს მათ იჯარით ქალაქის მიწის ნაჭრები, რომ საბჭოს 1900 წლის 12 ივნისის დადგენილების თანახმად, იჯარით იძლევა პოლიციის მე 10 ნაწილში, „ლოტკის გორაზედ“ 47 ნაჭერი ქალაქის მიწისა, რომელთა იჯარით გაცემის დროს ზოგიერთთ უპირატესობა მიეცემათ ამ გვარად:

ა) იმათ, რომელნიც ხარჯის გადამხდელ წოდებას ეკუთვნიან და ამასთან ტფილისზედ არიან მიწერილნი, როგორც ხარჯის მხდელნი, ისე ამ ხარჯისაგან განთავისუფლებულნიც (სამსახურს გარეშე მყოფნი ჯარის-კაცნი).

ბ) სხვა წოდების იმ პირთ, რომელნიც ტფილისში 5 წელიწადზედ ნაკლებ არა სცხოვრობენ.

გ) უცხო სახელმწიფოთა იმ ქვეშევრდომთ, რომელნიც 10 წელიწადზედ ნაკლებ არა სცხოვრობენ ტფილისში.

იმათ, ვისაც ჰსურს იჯარით აიღოს მიწები, უნდა წარუდგინონ გამგეობას შესაფერი საბუთის ქაღალდები. (3—6.—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 31-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე